№ 127 ივნისი 19, კვირა 1888 ივნისი 19, კვირა № 127

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბეჭუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



სურათებიანი

ვეფხის-ტყაოსანი

მეფრთას ედაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ,

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

ამ წიგნზე ხელის-მომწერთ უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, იმათზედ დარჩენილი ფული და გასაგზავნი ხარჯიც ერთი მანეთი.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества Грамотности. Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110. (5—4)


ტფილისი, 18 ივნისი

ბ-ნი პ. უმიკაშვილი გუშინდელს წერილში შეეხო ისეთს სახსარს სწავლა-განათლების წარმატებისას საქართველოში, რომელიც ღირსია საზოგადოების განსაკუთრებულის ყურადღებისა. ავტორმა აღნიშნა ისეთი საჭიროება, რომელიც უეჭველი და ყველასათვის ადვილად შესამჩნევია. ბ-ნი უმიკაშვილი მოგვითხრობს, რომ დრო იყო, როცა რამდენიმე სკოლა იმართებოდა ხოლმე თითო წელიწადში, მაშინ-როდესაც ეხლა იმის ნახევარიც არ იმართება, და ამის მიზეზი ის-კი არ არის, ვითომ ხალხს გაჰქრობოდეს ერთხელვე აღძრული აზრი სწავლა-განათლების საჭიროებაზე, არამედ ისა, რომ პატარა და ღარიბს სოფელს არ შეუძლიან შეინახოს საკუთარი სკოლა. თითქმის ყველა დიდს სოფლებში გამართულია სკოლები, რომელნიც მართლა რომ ხეირობენ; ხოლო დარჩნენ პატარ-პატარა სოფლები, რომელთაც ძალიან უჭირსთ საკუთარის სკოლების გამართვა. რასაკვირველია, შეუძლებელია ეს სოფლები უსკოლოდ დარჩნენ მარტო იმისთვის, რომ ღარიბნი არიან. ამ სოფლებისათვის ერთად-ერთი სახსარი სწავლა-განათლებისა მოძრავი სკოლაა, რომელიც დიდს ხარჯს არ მოითხოვს და, მაშასადამე, რამდენსამე პატარა სოფელს ერთად იმისი შენახვა და გაძღოლა არ გაუჭირდება. ჩვენში დიდ-ძალი პატარა სოფელია, რომელიც სწორედ ამ გაჭირებულს მდგომარეობაშია, და დღემდის ამაზე, ვგონებთ, არა უფიქრნიათ-რა. ამას წინად ქსნის ხეობიდგან გვწერდნენ, რომ ახალგორის სკოლას ინახავს შვიდი სამამასახლისო და სკოლაში-კი დღემდე ოთხიოდე ყმაწვილის მეტი არავინა სწავლობსო. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ სოფლელებს, რომლებიც სასკოლო გადასახადს იხდიან, სკოლა არ ემხრობათ სიშორის გამო და ამიტომაც ყმაწვილებს ვერ ატარებენ სკოლაში.

როგორც ჰხედავთ, თუ მარტო მუდმივის სკოლის გამართვაზე ვიფიქრეთ, მაშინ პატარ-პატარა სოფლები უსკოლოდ დარჩება. ერთად-ერთი სახსარი, ბ-ნის უმიკაშვილის აზრით, მოძრავის სკოლების გამართვაა და ამ აზრს შეუძლებელია არ დავეთანხმოთ, თუ ჩვენის სოფლების ვითარებას ჩავუკვირდებით. ამიტომაც უნდა ვისურვოთ, რომ უმიკაშვილის აზრი მარტო აზრად არ დარჩეს, არამედ საქმედ იქცეს. როგორც უმიკაშვილივე ამბობს, მოძრავის სკოლების გამართვა მაინცა და მაინც საძნელო საქმე არ არის, და თუ რაიმე დაბრკოლება შეემთხვია ამ აზრის განხორციელებას, ეს ისევ ჩვენივე მოუპერხებლობა იქნება და თვით საქმის სიახლე.

ამ გვარია პატარ-პატარა, ღარიბის სოფლების მდგომარეობა, რომელიც ჯერ-ჯერობით მართლა რომ უნუგეშოა, მაგრამ არც იმ დიდის სოფლების მდგომარეობაა მაინცა და მაინც სანატრელი, რომელთაც საკუთარი სკოლები აქვსთ. შენიშნულია, რომ სოფლის სკოლაში სწავლა დამთავრებულები რამდენისამე წლის განმავლობაში ივიწყებენ ნასწავლსა. სოფლის კაცის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ყმაწვილს ყოველდღიური განუწყვეტელი შრომა აკარგვინებს სწავლის ხალისს და ცნობის-მოყვარეობას და, მაშასადამე, სკოლას ის სარგებლობა არ მოაქვს ხალხისათვის, რომლის მოტანაც შეუძლიან. ეს საგანი ჩვენ თითქმის უყურადღებოდ დაგვიგდია და სისტემატიურად არა გაგვიკეთებია-რა, რომ სკოლის საქმეს ხელი შევუწყოთ. აწ არსებულს სკოლებს შეგვიძლიან დავეხმაროთ სხვათა შორის სასოფლო ბიბლიოთეკების გამართვითაც. რამდენსამე სოფელში თვით მასწავლებელთა და ზოგიერთ მოკეთეთა მეთაურობით კიდევაც გაიმართა სასოფლო ბიბლიოთეკები, მაგრამ უფროს-ერთს სოფელს ჯერ კიდევ არა აქვს ბიბლიოთეკა. აი, ამ გარემოებასაც ყურადღება უნდა ვათხოვოთ და ხელი უნდა მივაწოდოთ დიდს სოფლებსაც, რომელთაც კარგად აქვსთ შეგნებული სწავლა-განათლების მნიშვნელობა. ვისაც სოფლის სკოლაში უსწავლია, ის უეჭველია დიდად მოხარული იქნება სასოფლო ბიბლიოთეკის დაარსებისა. მოვიგონოთ თუნდაც კავთისხევის სკოლის ათის წლის დღესასწაული, რომელზედაც სოფლელებმა დიდი სიხარული და თანაგრძნობა გამოიჩინეს, როცა ერთმა სკოლის მასწავლეთაგანმა აღძრა აზრი ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ. მთელმა საზოგადოებამ თანაგრძნობით მიიღო ეს აზრი და ცოტაოდენი ფულიც შეაგროვა ბიბლიოთეკისათვის.

ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოება“ მოვალეა ამ ორს საგანს ათხოვოს ყურადღება და დააკმაყოფილოს უეჭველი საჭიროება ჩვენის ერისა...

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ამბავი ქართლიდამ, რომ გორს ზემოდ, ფრონის ხეობისაკენ, დიდს ლიახვსა და პატარა ლიახვზედ დიდად ემადლიერებიან მოსავალსა. ასეთი მოსავალი ათი-თხუთმეტი წელიწადი იქნება აღარა გვღირსებიაო, ამბობენ თურმე ქართლში. ახალ-თესლი ქერები ხომ რა არის, და ისინიც-კი ისეთი არის გაზრდილი, რომ ნამგლით მოიმკისო, მაშინ-როდესაც სიპატარავის გამო ახალ-თესლს ქერებს მუდამ სცელავენ ხოლმე. ყანები ხომ ისეთებია, რომ სიკეთით გვერდზე წაწოლილი და გავსილი თავთავი ძირს არის დახრილიო. იალალს ხომ ემადლიერებიან და ემადლიერებიან. დიდი ბალახეშია წელს მინდვრებში და გამაძღარი საქონელი სასიამოვნოდ ჰბზინავს და დაფუნდრუკობსო.

*** კახეთი: გაიფოთლა ტყე-მინდორი და ეს გარემოება ძალიან ხელს უწყობს ავაზაკებს. სოფ. ყარაჯალის მცხოვრებლებს ზემო მულანლოელები ძლიერ ხელს უწყობენ. ამას წინად კახეთის ზემო სოფლებიდამ (სოფ. იყალთოდამ, რუის-პირიდგან და არტოხანიდამ) გაასხიენ ხუთი ცხენი. ეს ცხენები დღესაც ვერ უპოვნიათ. ამის შემდეგ არ გასულა მცირე ხანი, რომ თ. დ. მ—შვილის ძროხები გაასხიენს. პატრონიც ფეხდა-ფეხ მიჰყვა და შიგ მულანლოშივე იპოვნა თავისი საქონელი. არა მარტო ეს ორი მაგალითია ქურდობისა ჩვენში; ყველა ამბებისა და ანუ სხვისათვის არა ერთი და ორი ფურცელი ქაღალდია საჭირო. მგონი ესეც-კი საკმარისია საჩვენებლად, თუ რა ერთგულად ჰმოქმედებენ ეს რაინდები.

თუმცა ასე ერთგულად შეუდგნენ შინაური და გარეული ყონაღები თავიანთს საქმეს, მაგრამ ამ დღეებში მათ შორის მოხდა შემდეგი ამბავი: როგორც სოფ. ყარაჯალის თათრები, აგრეთვე ზემო მულანლოს თათრებიც ზაფხულს ციე-გომბორის მთებზე ატარებენ თავის საქონლ-სახლობითურთ. ამ ზაფხულს ორსავე სოფლიდამ აეიღნენ თუ არა მთაში, როგორღაც შეცდომით ერთმანეთის ძროხა-საქონელს მისეოდნენ. მულანლოელებს პირველად განეძრახათ თავისის ყონაღების საქონელზე ხელის მოთბობა. მათი განძრახვა შეეტყოთ ახატლელებს და შეიარაღებული დარაჯობა დაეწყოთ თავიანთ საქონლისათვის. შუაღამისას მულანლოელები წასტანებოდნენ საქონელს. ახატლელთ არ დაენებებინათ საქონელი და ჩხუბში ერთი მულანლოელი გაესტუმრები-

## ფელეტონი

### თედუა

კერპია თედო, კერპია,
გაუტეხელის გულისა,
მუშა-კი არი, მშრომელი,
მექონი დიდის სულისა.
ეს სიღარიბეს არ უთრთის,
მაჯის იმედით სრულია,
ებრძვის შავს მიწას დღითი-დღე,
ჯაფისგან მოქანცულია!
სხვისა არ უნდა თედოსა,
მოძმეს არ შეეცილება,
ცის რისხვას, ბატონის წყრომას
ქედ-მოხრით ემორჩილება!

დღეს უქმე არის, თედუა
წამოწოლილა ჩრდილშია,
უქმეა, უფლის დღე არის,
ფიქრშია, განა ძილშია...
ჰფიქრობს: „სამის დღის ყანა მაქვს,
ორის დღის ქერი, სიმინდი,
ნაოშიც ორიოდ დღისა,—
დაუდგათ კარგი ამინდი;
ვენახს მისხია რიგიან,
ლობიოც გათოხნილია,
არ მოცდენილა კაკალი
და არც მომცდარა ხილია...
ღვთის მადლით წელს-კი მომივა
ნაშრომი ჭირნახულია,
გავყიდი ბლომად ღვინოსა,
მაშინ მექნება ფულია!..
ცალად მყავს ლომა, უყიდი
მეუღლეს ურმის თავშია,
უღელს ხარს თათრულს ვიყიდი,
გაუბამ საყევარშია“...

მზე იკბინება. ლაქვარდს ცას
არ უჩანს იალ-კიალი,
კოლო დაბზუის, გასწივის,
და ისუსხება ტიალი!..
მაგრამ, ჰა?.. შახე, გამოჩნდა
მუშტის ოდენა ღრუბელი,
აგერ გადიდდა, ჩაშავდა,
იძაბეის როგორც წურბელი...
უეცრად ქარმა დაჰქროლა,
ღრუბლიდგან დაიგრიალა,
იელა, გამოიკლაკნა,
გამოიჭექა ძრიელა,
წამოუშინა სეტყვამა,
მრისხანედ დაიხრიალა,
ვენახი, ყანა, ხეხილი
დათრგუნა, გაატიალა!!..
თედომ იფიქრა: „ღმერთს სცოდა
და სეტყვა გადაიმტერა“,
ცრემლი მოადგა თვალშია,
პირჯვარი გადაიწერა!..

კერპია თედო, კერპია,
გაუტეხელის გულისა,
მუშა კაცია, მშრომელი,
მექონი დიდის სულისა!
სხვისი არ უნდა თედოსა,
მოძმეს არ შეეცილება,
ცის რისხვას, ბატონის წყრომას
ქედ-მოხრით ემორჩილება!..
ეს სიღარიბეს არ უფრთხის,
მაჯის იმედით სრულია,
ებრძვის შავს მიწას დღითი-დღე,
ჯაფისგან მოქანცულია!

თ. რაფ. ერისთავი

20 მკათათვე 1887 წ.

### ჩვენი ოჯახი

ყოველთვის, როდესაც-კი მე ჩემის სევდის გასაქარწყლებლად ჩვენის ცხოვრების დაცემულობის მიზეზსა და იმისის წყლულის წამალს ვეძებ, ყოველთვის, ჩემო მკითხველო, მწარაფლად წარმომიდგება თვალ-წინ ჩვენი ოჯახი და ნათლად ვხედავ, ვრწმუნდები, რომ იმის ცხოვრებას არა აქვს საფუძვლად წმინდა, უანგარო სიყვარულის ტაძარი; იმას არ ესმის, არ გაეგება თავისი დიდი მოვალეობა ღვთისა და ერის წინაშე და სრულებით არ იცის, არცა ფიქრობს, რომ ჩვენის მომავალ ცხოვრების ავ-კარგიანობა, ჩვენი სურვილი, იმედი და ნუგეში იმისგან აღზრდილ შვილზედ არის დამოკიდებული, და ან-კი საიდგან უნდა იცოდეს და ესმოდეს, როდესაც ჩვენს წარსულს, ბედკრულს ისტორიულს ცხოვრებას მასზედ არავითარი ნათელი არ დაუყენებია და მხოლოდ პირუტყვულ ცხოვრებისათვის შეუჩვევია. იქნება კიდევაც დიდხანს დარჩეს ჩვენი ოჯახი ამ სამწუხარო მდგომარეობაში, თუ... თუ ქვეყნიერების ცხოვრების ერთი მადლიანი, განმწმენდი ტალღა არ მოჰხვდა და ამ გვარად იმისი აწინდელი საცოდავი შინაგანი ღირსეულობა ჩვენის დროის მოთხოვნილების შესაფერ ღირსეულებად არ შესცვალა.

საზოგადოდ რომ ვსთქვათ, არავითარი შესანიშნავი განსხვავება არ არსებობს ჩვენთა სხვა და-სხვა წოდების ოჯახთა შუა: შინაგანი ხასიათი და ღირსეულობა ყველგან ერთი და იგივეა, გინდ აზნაურიშვილის ოჯახი იყოს, გინდ გლეხ-კაცისა. რასაკვირველია, ყოველ წოდების ოჯახს თავისი საკუთარი გარეგანი ფერი აქვს და ეს ფერი მხოლოდ ქონებრივის ცხოვრების მეტნაკლებობაზედ არის დამოკიდებული; ჩვენი ღარიბი აზნაურშვილის ოჯახი წმინდა კოპიოა გლეხ-კაცის ოჯახისა და იმას ვერაფერში ვერც წინ წაუვა, ვერც უკან ჩამოურჩება. ამისათვის ჩვენი აზრი ქართულს ოჯახზედ ერთ ნაირად შეეხება, როგორც თავად-აზნაურის ოჯახს, აგრეთვე გლეხ-კაცისას. ჩვენ არ ვეთანხმებით ზოგიერთებს, რომელნიც გლეხ-კაცის ოჯახს, როგორც ყოვლად საუკეთესოს და სამაგალითოს, მაღლა თაროზედ წამოასკუპებენ და თაყვანსა სცემენ, ვით კერპს; რა თქმა უნდა, რომ დიდის გულ-მხურვალებით თანავუგრძნობთ იმის დატანჯულს ცხოვრებას და ვნატრობთ

ნათ წიაღსა შინა მაჰმადისასა. ხელ-ცარიელი და დაზარალებული მულანლოელები, რასაკვირველია, უნუგეშოდ დაბრუნდნენ თავიანთს ბინაზე, იმ იმედით, რომ დღეს თუ უიარაღონი მოვედით, ხვალ იარაღით დაგესხმით თავსაო. ამ გარემოებამ გამოიწვია ყონაღებ შორის დაუძინებელი მტრობა და ისე გამწვავდა უსიამოვნება, რომ ბევრმა მათგანმა დაშალა თავისი საზაფხულო ბინა და ისევ ბარად ჩამოიდა.

*** თელავი: მარტო მალულ ქურდობას რომ გვაკმარებდნენ კახელებს, კიდევ ღვთის წყალობა იქნებოდა, მაგრამ სისხლის ღვრაც-კი ხელ-საყრელი გახდა აქ ცარცვა-გლეჯისთვის. აი რამდენისამე დღის წინად თელავის მოსავალში ერთს მჭედელს დაჰხვედროდნენ ბინდ-ბუნდისას სამი ავაზაკი და წაერთმიათ რაც რამ ჰქონდა. კიდევ კარგი, რომ საიქიოს არ გაისტუმრეს უბედური, მაგრამ ავაზაკნი იმას არ ერჩიან, ვინც ნება-ყოფლობით ანებებს ყველაფერს, რაც აბადია.

ამავე ხანში გაღმა კახეთის სოფ. საბუის თავში ავაზაკები დასხმოდნენ კახეთში მომავალ თუშის მღვდელს. ავაზაკნი ნებით რომ ვერას გამხდარიყვნენ, დამბაჩა დაეხალნათ წელში, გადმოეღოთ დაჭრილი მღვდელი და თრევით ჩაეტანათ ხრამში. აქ მიეტოვებინათ და თვითონ-კი ნადავლით გამგზავრებულიყვნენ. მღვდელი მიდენილიყო კახეთში სავაჭროდ. ორი ცხენი დატვირთული შალებით და სხვა გასასყიდ საქონლით (ღირებული 150 მან., როგორც განცხადებაშია დაფასებული) მოჰყოლოდა და თითონაც ჯიბეში ჰქონოდა ნაღდად 180 მან. ყველა ეს წაუღიათ ავაზაკებს. დაჭრილი მღვდელი მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა გონს და რის წვალება-ვაებით ჩამოაღწია სოფლამდინ. აქ დაუწყეს დაჭრილს წამლობა. ჭრილობა ისე საშიში არ აღმოჩნდა და, როგორც სჩანს, მღვდელი მალე მორჩება. დაჭრილმა და დაზარალებულმა შეიტანა განცხადება თელავისა, თიანეთისა და დაღისტნის ადგილობრივს პოლიციაში. როგორც შევიტყვეთ, დაჭრილის ცხენები უკვე უპოვნიათ, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ავაზაკთ ცხენები გაუშვიათ ტყეში და თვით ცხენებს მოუნახავთ პატრონის ბინა. ავაზაკთა საპოვნელად ღონის-ძიებაა მიღებული. ვნახოთ როგორს სიმარჯვეს გამოიჩენს ჩვენი პოლიცია.

*** სოფ. ხორგა (ზუგდიდის მაზრა): 26-ს მაისს აქ გარდაიცვალა დიდად პატივცემული და ღრმად მოხუცებული აზნაური პეპუ გაგულია, 105 წლისა. განსვენებული უკანასკნელს დრომდე სრულიად სამართლიანად წარჩინებულ კაცად ითვლებოდა. არც ერთი საზოგადო საქმე ისე არ გათავდებოდა, რომ აწ განსვენებულს არ დაჰკითხებოდნენ. გაგულია აგრეთვე დიდი მწყალობელი იყო ქვრივობლებისა და ღარიბებისა. განსვენებული დიდის ამბით დამარხეს. ტირილზე მოწვეული იყო ეპისკოპოზი გრიგოლი.

*** იქიდამვე: ჩვენ, ხორგელები, დიდი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ მასწავლებლის ბ-ნის ცხაკაიასი, რომელმაც მოსვლისათანავე აღძრა კითხვა სასწავლებლის გაუმჯობესობაზე. ცხაკაიას მეცადინეობით გადაკეთდა ჩვენი ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად. შესდგა განაჩენი და მიერთვა თხოვნა საზოგადოებისაგან საერო სკოლების დირექტორს, წარსადგენად უმაღლესის მთავრობისადმი, რომ ჩვენი სასწავლებელი დამტკიცდეს ორ-კლასიან სამინისტრო ნორმალურ სასწავლებლად. დამტკიცებას დღე-დღეზედ მოველით. წელს დირექციის შემწეობით ბ-ნმა ცხაკაიამ ააშენა მშვენიერი საყაჭე სახლი სასწავლებლის გვერდზე; ეს სახლი დაჯდა 500 მ.—600-მდე. წელს საუცხოვო აბრეშუმის ჭიები გამოვიდა. არავითარი ავადმყოფობა ჭიებს არ დასტყობია და სამაგალითო პარკებიც გამოუვიდა. სოფელში-კი, ვისაც ჰყავდა აბრეშუმის ჭია, ყველას გაუწყდა. ცუდს ამინდებს დააბრალეს, მაგრამ როცა ნახეს, რომ მასწავლებლის ჭიებმა იხეირეს, მაშინ-კი დარწმუნდნენ, რომ ჭიების მოვლაში დახელოვნებულნი არა ყოფილან. ნუ თუ ამის შემდეგაც არ გაჩუმდებიან იმ შეგირდების მშობლები, რომლებიც თავისათვის ჩურჩულებდნენ: „ჩვენის შვილებისათვის არ არის საჭირო აბრეშუმის მოყვანის სწავლება. ეს ხელობა ქალების საქმეა და არა ვაჟებისა, და თუ გვინდა, შინაც ვასწავლით. გვიჯობს შვილების გამოყვანა სასწავლებლიდგანაო“. ნუ თუ იგინი ეხლაც არა მიხვდებიან, რომ აბრეშუმის მოყვანას რიგიანი მოვლა უნდა და მოვლას-კი სწავლა.

*** სოფ. მატან-მარალისი (თიანეთის მაზრა): საქართველოში, მეტადრე მიყრუებულს ადგილებში, დღესაც შეხვდებით ხოლმე მკვნარეთა თაყვანის ცემას. ამის მაგალითი რამდენჯერმე ყოფილა მოხსენებული ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და ეხლა ერთიც კიდევ უნდა შევატყობინოთ მკითხველებს. ჩვენს შიგ შუა სოფელში დგას ერთი ძირი მუხა, რომელსაც სოფლელები დიდს პატივსა სცემენ; მეტადრე ამ უკანასკნელს ხანებში კიდევ უფრო მოუხშირეს თაყვანის ცემა. ეს მუხა მორთეს ძაფებით და ტოტებზედ დაჰკიდეს მოსახვევები და სარტყლები და ხის მახლობლად ააგეს პატარა ფიცრული შენობა, სადაც შეაქვთ ნაწირავები. ამ სახლსა და მუხას შემოავლეს გალავანი; ეზოში შაბათ საღამოობით მოდის ხალხი, რომელიც თვალ-ცრემლიანი ლოცულობს და უკლავს კურატსა და სალმთოს.

ამას წინად მუხის მახლობლად მცხოვრებნი გადაესახლნენ, ვითომ და იმისთვის, რომ მუხა არ გვაყენებსო, და მშვენიერი სახლები დასტოვეს. ყოველივე ესე ადგილობრივმა მოძღვარმა აცნობა თავისს მთავრობას. ბ-ნმა მაზრის უფროსმა გაგზავნა მოხელე და ბრძანა იმ მუხის მოჭრა. მცხოვრებლებმა სთხოვეს მუხა დაეტოვებინათ საგრილობელად და აღუთქვეს, რომ დღეის იქით წინანდელს საქციელს არ ჩავიდენთო, მაგრამ თავიანთი სიტყვა ვერ შეასრულეს და წინანდებურად თაყვანსა სცემენ მუხას და ზოგიერთ სხვა ხეებსაც როგორც ქართველები, ისე სომხებიცა.

*** განჯა: 12-ს ამ თთვეს, დილის 6 საათზედ, ლიაკსა და ევლახის სადგურთა შუა კინაღამ არ დატრიალდა საშინელი უბედურება: საქონლის მატარებლები (№ 111 და 106) რიგით უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ლიაკის სადგურზედ. ამ დროს დეპეშა ამ სადგურებს შუა გაფუჭებული იყო. რკინის გზის წესის ძალით, ამისთანა დროს მოძრაობა მატარებლებისა არ უნდა შესწყდეს, მხოლოდ სიფრთხილისათვის ყველა სახსარი და თადარიგი უნდა იყოს დაცული. ამ დროს, როცა ერთი მატარებელთაგანი მივა იმისთანა სადგურს, სადაც უნდა შეხვდეს რიგით მეორე მატარებელს, იგი ვალდებულია უცადოს მეორეს, დაგვიანებულს მატარებელს, სანამ ის არ მოვა, ან სანამ მახლობელის სადგურიდგან ცხენოსანი, ან ქვეითი კაცი არ მოიტანს დაწერილს ცნობას სადგურის უფროსისას, რომ ესა-და-ეს დაგვიანებული მატარებელი აქ არის დაკავებული და წამოვიდეს თქვენიო. მხოლოდ ამ დროს შეუძლიან პირველს სადგურს გაუგზავნოს მატარებელი მეორეს, იქ, სადაც დაგვიანებული მატარებელი დგას. ეს წესი ყველა სადგურების უფროსებისათვის და იმათ თანაშემწეთათვის სავალდებულოა. ზემო მოყვანილ შემთხვევაში დააგვიანდა მატარებელს (№ 111), მომავალს ევლახიდგან. ლიაკმა არ მოუცადა არც მოსვლას ამ დაგვიანებულისას და არც რაიმე ცნობას ევლახიდგან, და გაუშვა მომავალის მატარებლის (№ 111) პირდაპირ თავისი მატარებელი, № 106. ეს ორი მატარებელი შეხვდნენ გზაში ერთმანეთს. რადგან დღე იყო, მემაშინეებმა ერთმანეთი დაინახეს და დროზედ შეუჯახებლად გააჩერეს მატარებლები. ეს საქმე რომ ღამე მომხდარიყო და ან მემაშინენი ყურადღებით არ მოჰპყრობოდნენ, მატარებლები ერთმანეთს უნდა შესჯახებოდნენ. თვითოეულს მატარებელში ოც-და-ათი ვაგონი იყო თუ ცარიელი და თუ დატვირთული.

*** კავკავი: თოთხმეტს ამ თთვისას დაბა ნასრანის ციხის გალავანში საოცარი სანახავი ვნახეთ. „გაროზგეს“ თექვსმეტი კაცი: შვიდი ოსი და ცხრა ქისტი. ამ ამბის საყურებლად ბ-ნმა მაზრის უფროსმა დაიბარა ბარის ოსეთის ყველა სოფლების მამასახლისები და ქურდების სიაში ჩაწერილი კაცები. აგრეთვე დაესწრო დიდ-ძალი ხალხი, კავკავიდგან ჩამოსული ფაიტონებით.

*** „მშაკში“ იწერებიან ერევნის გუბერნიიდამ, რომ იქაც დიდი ავდრები, ზოგან სეტყვა და ნიაღვრები ყოფილა. ამის გამო სოფლებს დიდი ზარალი მისცემია. სხვათა შორის ცხვარი ბლომად დახოცვიათ. ამ ავდრებისაგან გზები წახდა, ხიდები დაზიანდა ისე, რომ ორი კვირის განმავლობაში ფოსტის მისვლა-მოსვლა შესწყდა. და მხოლოდ 13 ივნისს მოვიდა ტფილისში ერევნის ფოსტაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქუთაისი, 16 ივნისი. ჩვენში იტყვიან, „უძაღლო ქვეყანაში კატაც აყეფდებაო“. სწორედ ჩემზედ არის ნათქვამი: მეც კალამს მოვკიდე ხელი, რათა აქაური ამბები შევატყობინოთ. თუმცა წერა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ვისაც წერა შეუძლიან, ის დალოცვილები კრინტსაც არ იღებენ. ერთის თვის, თვეე ნახევრის განმავლობაში ბევრი რამ სამწუხარო ამბები მოხდა ჩვენს ქალაქში. წარსულის თვეის უკანასკნელს რიცხვებში თავ. გრიგოლ იოსების ძე ნიჟარაძეს შეხვდა იმისივე ნათესავი, თავ. ბაგრატ ნიჟარაძე. უკანასკნელმა შეატყო გრიგოლს, რომ ძალზე ნაქეიფარი იყო, და სთხოვა, ეხლა გეყოფა და წავიდეთ სახლშიო. კიდეც ჩასვა ფაიტონში და გაემგზავრნენ სოფ. მაღლაკისაკენ. ორპირის ქუჩაზე „სლობოტკაში“ ქეიფობდნენ ბ-ნნი ნ—ი და ბ—ე. ამათ დაინახეს თუ არა თავ. ნიჟარაძეები, მიიპატიჟეს სუფრაზე. ნაქეიფარმა გრიგოლმა მოინდომა იმათთან ქეიფი და ვერც ბაგრატმა გაუწია წინააღმდეგობა გრიგოლის სურვილს. მასპინძელთან შესვლისათანავე გრიგოლ ნიჟარაძეს უკმაყოფილება მოუვიდა ბ—სთან და გრი-

---

დაიხსნას თავი ამ ტანჯვისაგან, მაგრამ არც ის გვავიწყდება, რომ მასშიაც ვერა ჰპოვებს კაცი იმ ყოვლისფრივ სიკეთეს და მაღალს ზნეობას, რომელსაც გულ-მოდგინედ უნდა ეძებდეს ყოველი პატიოსანი კაცი. ყოველს წოდებას ერისას თავისი საკუთარი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და დიალ დღესაცა აქვს, ამიტომაც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ-ერთის წოდებისადმი წაქომაგებით სამშობლოს ბედი თავის დღეში ვერაფერს ვერ შეიმატებს.

ბავშვისათვის ოჯახი *) უპირველესი სასწავლებელია; მხოლოდ აქ ეძლევა იმას ჭკუა-გონებისა და ზნე-ხასიათის საფუძველი; ამ საფუძველზედ არის დამყარებული იმის აზრისა და გრძნობის გახსნა და ხასიათის გაწვრთნა; ამისათვის, რაც უნდა ჭკუისა და ზნეობის სამოთხე იყოს სკოლა, იგი ვერას გააწყობს და ფარსაგად ვერ იმოქმედებს ყმაწვილზედ, რადგანაც ჩვენის ოჯახის შინაურ ცხოვრების ჯოჯოხეთს მასზედ უფრო შეუწყვეტელი და ხანგრძლივი გავლენა აქვს. ჭორი, სხვის საქმეების განსჯა და გაკიცხვა, ცუდ-უბრალოდ ცილისწამება, შურიანის თვალით სხვის პირადის საქმეების გარჩევა და გაჩხრეკა, შინაური ლანძღვა-თრევა და დავიდარაბა,—აი რა შეადგენს ქართულ ოჯახის უმთავრესს დროს გასატარებელ საქმეს? მეზობელი, ნაცნობი, ნათესავი, მტერი თუ მოყვარე ერთ ნაირად ილანძღება და თავს ლაფი ესხმება ყოველ დღე ამ ურიგო და სწორეთ დასაქცევ ოჯახში; და ყოველი ეს ურიგობა მხოლოდ ჩვეულებრივ ენის ქავილის შედეგია და სრულებით არ გვიმტკიცებს რაიმე კეთილის საქმისადმი გულ-მხურვალებას. ამისათვისაც ჩვენს ბავშვს ჭორებით და ოჯახის დავიდარაბით თავი და გული გატენილი აქვს; ველარა თავსდება იმის თავში და გულში ვერც მაღალი, განმანათლებელი აზრი და ვერც წმინდა სიყვარულის გრძნობა. ყმაწვილის ცაში ახაფრენი ნორჩი ჭკუა-გონება ოჯახის ურიგო ცხოვრების წვრილმანებით დატვირთულია და ამ წვრილმანებისაგან იმისი აზრი და გრძნობა შეხუთული და ფრთებ შეკვეცილია; მას ოჯახშივე უკვდება ურთიერთობის, ძმობის, მეგობრობის ნდობა და აღტაცებით ყმაწვილ სიყვარულის სასოება; ჰკარგავს მტრისა და მოყვრის გარჩევას და მთელი ქვეყანა მგლად და თავის საკუთარ მტრად მიაჩნია. ყრმობაშივე მწარე სიცოცხლისაგან დაჩაგრული, მერმე კაცი უფრო მწარე ცხოვრებაში შედის და არა-რა რჩება თავის ძნელს წუთი-სოფლის სავალში სატკბოდ და სანუგეშოდ საგონებელი!

სახლობის კეთილდღეობა როდია ჩვენში დამყარებული დედ-მამის ერთიერთმანეთის გულითადს, პირუთვნელს სიყვარულზედ: მამა სხვისაგან ცოლ-შერთულია, დედა დაუკითხავად, სხვის ჭკუით და გრძნობით გათხოვილია; ამ სამარცხვინო თხოვნა-მითხოვებაში წმინდა ადამიანურ სიყვარულს თითქმის წილი არ უძევს. ეს ჩვეულება დროთა ვითარების ძალისაგან ნაკურთხი ოჯახის კანონად გარდაქცეულა და ჩვენის ოჯახის ცხოვრების რჯული და ადათი თითქმის მარტო იმაშია, რომ ადამიანის ნამდვილი სიყვარულის გრძნობა ცხრა კლიტეთი უნდა იყოს დაკეტილი. სხვის ჭკუით და გრძნობით ანუ რაისამე უწმინდურ აზრით ცოლ-ქმრობა სიკვდილამდის დაურღვეველი უნდა დარჩეს; რაც უნდა ძალიან შესჯავრდეს ცოლს ქმარი, თუგინდ ყოველს წუთას ნატრობდეს იმის დამიწებას, მაინც კიდევ ყურ-მოჭრილ ყმასავით უნდა ითმენდეს თავის დაჩაგრულს ცხოვრებას; ბრმა რჯულსა და ადათს შეუხუთავს იმისი ჭკუა-გონება და ქვეყნისა ეშინიან, კანკალებს, ითმენს, მუდამ ჰმალავს თავის ნამდვილს გრძნობას და ამ გვარად მუდამ ტყუის თავისის სინიდისისა და ქვეყნის წინაშე. თუ ქმრისაგან დაჩაგრულს ცოლს სიცოცხლე გაუჭირდა, საფლავს გაითხრის, შიგ ცოცხალი ჩაწვება და მიწას მიიყრის, ოღონდ ქართულს რჯულსა და ადათს არ გადუდგეს და ცოლ-ქმრობის უწრფო კავშირი თავის ხელით არა დაარღვიოს. ან თუ ვინიცობაა მაგარი ხასიათი გამოიჩინა და საქვეყნოდ გაამჟღავნა თავისი ნამდვილი გრძნობა, ეს საქციელი სასახელოდ-კი არ შერჩება, საქვეყნოდ შერცხვება და თავ-მოჭრილი იქნება. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა წმინდა გრძნობის შეხუთვა და შებორკილება ვერაფერს ხეირიანს ნაყოფს ვერ მოიტანს ვერც ცოლისა და ქმრისათვის და ვერც იმათის შვილებისათვის, რადგანაც, ნამდვილ სიყვარულის ნაცვლად, აქ მხოლოდ უგულო ცოლ-ქმრობის კავშირს უჭირავს ალაგი. მაშ რაღად უნდა გავიკვირდეს, რომ ჩვენს შვილებს დაბადებითვე დაჰყვეს: სიცრუე, ბრმა შიში და უხასიათობა!

ბინძურს ცხოვრებაში ქართულ ოჯახს სახელი გათქმული აქვს და არ უყვარს არც სახლის, არც თავისის ტანის სიფაქიზე. მტვრიანი, ნაგვიანი, თითქმის ყოველთვის დაულაგებელი და უშნოდ მოწყობილი სახლი, ჭუჭყში და ვაი-ვაგლახში მოსვრილი, თითქმის დედის-შობილა ბავშვები და მთელის ოჯახის გარეგანი შეხედულობა გვიმტკიცებს იმის უშნოობას, მოუხერხებლობას და უზრუნველობას. დღე და ღამ დიდი და პატარა ერთი-ერთმანეთშია არეული; არც მამას, არც დედას, არც შვილებს თავ-თავიანთი საკუთარი ოთახი, ან კუნჭული არა აქვსთ, სადაც ადამიანს შეეძლოს თავის საკუთარს თავს და გულს ჩაუფიქრდეს. ან-კი რად უნდათ ცალ-ცალკე ოთახი, როდესაც საზოგადოდ ქართველს კაცს ჩაფიქრება სძულს. მთელს სახლში არც ერთი ნივთი არ მოიპოვება, რომ სტუმრად

*) ვგულისხმობთ შუათანა შეძლების ოჯახს, რომლისათვისაც ყოვლად შესაძლებელია სწავლა-განათლება მისცეს თავის შვილებს.

გოლს გამოესარჩლა ბაგრატ. შეხედა თუ არა ამას ნ—მა, იძრო ხანჯალი და მუცელში ჩასცა ბაგრატ ნიჟარაძეს, რომელიც ოთხი-ხუთის დღის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა.

მეორე ამბავი წარსულს კვირაში მოხდა: ანდრია ლორიამ თავისი სახარაზო დუქანი უმცროსს ძმას მიანდო საწარმოებლად. ამის შემდეგ, როცა ძმები ერთმანეთს ანგარიშს უსწორებდნენ, ექვსის თუმნის ზარალი აღმოჩნდა. ამისათვის უფროსი ძმა ანდრია შემოსწყრა უმცროსს ძმას, და იმანაც ადგა და ქეიფი დაიწყო. ნაქეიფარი ამხანაგებითურთ მიდიოდა ბაზარში, მოხელეების ქუჩაზე, და, ვინც-კი შემოჰხვდებოდა წინ, ზოგს დედას აგინებდა, ზოგს ქუდსა ჰხდიდა. ბოლოს საუბედუროდ შეხვდა წინ ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ოქრომჭედლის შეგირდი ასათიანი; ამასაც დედა შეაგინა. ასათიანმა აიღო ქვა, შიგ გულის ფიცარში მოარტყა ლორიას და საბრალომ იქვე სული განუტევა.

მესამე: ამ სამი-ოთხის დღის წინად ქალაქის ექიმის მოსამსახურე ქალმა ავადმყოფების მისაღებ ოთახში ფერდში რევოლვერი დაიხალა, მაგრამ სიკვდილით-კი არ მომკვდარა.

მეოთხე: ბ-ნს გრიგოლ მეფარიძეს ჰყავდა პატარა რვა-ცხრა წლის ძმის შვილი ქუთაისში აღსაზრდელად (მეფარიძე უშვილო კაცია). გრიგოლსა აქვს ახალი აშენებული სახლები და კირის გასაწმენდი ცხრილი ეზოში ჰქონდა აულაგებელი. როგორღაც თამაშობის დროს პატარა ბავშვი ქვეშ მოჰყოლია ცხრილს და იქვე სული განუტევია. საბრალო ბავშვი ისე უბედურად მომკვდარა, რომ შინაურებს დროზე ვერც-კი შეუტყვიათ.

ასკანელი

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** იქნება გახსოვდეთ, რომ დღევანდელს სამინისტროში საერო კაცის, ფრეისინეს დანიშნამ სამხედრო მინისტრად დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია. ვინა სთქვა და ვინ გაიგოს, რომ საერო კაცი სამხედრო მინისტრად ინიშნებოდესო, ამბობდნენ მაშინ. ამას გარდა კიდევ რასა ჰგავს, რომ იმისთანა ანჩხლი, აბეზარი კაცი, როგორიც არის გობლე, დაინიშნა გარეშე საქმეთა მინისტრადაო. ამას ამბობდნენ მაშინ უფრო მომხრენი ფერრისანი. ფრეისინე დიპლომატია და მხედრობა ჩააბარესო; გობლე გულ-ფიცხი კაცია და დიპლომატობა მიანდესო. ხომ დაჰქცევს ამათ საფრანგეთი, ხომ შეარცხვინეს ქვეყანაო!! იმ საბუთებს გარდა, რომელიც მაშინ წარუდგინა ფერრის მომხრეებს კლემანსომა და ფლოკემ, რომ საერო კაცი ბევრჯელ ყოფილა მხედრობის მოთავედაო, დღეს სხვა საბუთებიც მოგროვდა ფრეისინეს სასარგებლოდ. ეს ის საბუთებია, რომ ფრეისინეს სადიპლომატო შკუა და ნიჭი დიდად გამოადგა სამხედრო უწყებას. ფრეისინეს გაკეთებული საქმეები ცხადად ამტკიცებს, რა სასარგებლო კაცია ეს ფრეისინე სამხედრო სამინისტროსათვის. იმ კაცმა, რომელსაც გენერლობამ შურით და მტრობით დაუწყო ცქერა პირველად, ეხლა საერთო სიყვარული დაიმსახურა, ყველა გააკვირვა და მოჰხიბლა თავისის გონიერის ქცევითა და მოპყრობითა, ახალის წესების შემოღებითა, ადამიანობითა, დიდის თეორეტიულის და პრაქტიკულის ცოდნითა და მომზადებითა.

არც გობლემ დაუშავა რამე. დაუშავა-კი არა, ბევრი გააკეთა და ეხლა ყველა მადლობელია იმისი. გობლემ თავისი სადიპლომატიო ნიჭი გამოიჩინა მაშინ, როცა შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა პალატაში კოლომბ ტისას ლაპარაკის თაობაზე, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის მსოფლიო გამოფენას. იმ სიტყვამ გააკვირვა ყველანი, როგორც გობლეს მომხრენი, ისე იმისი მოწინააღმდეგენი. თავისს დღეში ასეთი საქმე არა მოუხერხებია-რა ფლურანსს, იმის წინამოადგილეს. იქნება სიზმარშიაც არ ენახა ფლურანსს ის აღტაცება და სიხარული, რომელიც მაშინ გობლემ გამოიწვიაო, ამბობენ იმისი მომხრენი.

ამას გარდა გობლე დიდის მოხერხებით მოექცა გერმანიას, როცა ამ ქვეყანამ პასპორტები შემოიღო ელზას-ლოტრენში. გერმანიის ქცევამ ძალიან გააგულისა საფრანგეთის საზოგადოება. ეს ქვეყანა მზად იყო, რომ თავისის მხრივაც უარესი მიეყო გერმანიისათვის. პარიჟის ზოგიერთი გაზეთები ყადრზე შესდგნენ და დღესაც-კი ამას გაიძახიან, რომ, რახან ეგრე, ჩვენც სამაგიერო გადავუხადოთ წყეულს გერმანელებსაო; ნუ შემოუშვებთ იქიდგან მუშებს, მოვუსპოთ ბაჟი იმათ საქონელსაო, და სხვანი. როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში გობლე? გობლემ და იმისმა თანაშემწეებმა უცხო საქმეთა სამინისტროში იფიქრეს, რომ საფრანგეთისათვის დიდად სასახელო იქნება გერმანიის ქცევაზე ხმა არ ამოიღოს და მთელს ქვეყანას კი შეატყობინოს, როგორ დაარღვია გერმანიამ ევროპაში მიღებული საერთო წესი თავისუფლად წასვლა-მოსვლისა და მე-11 მუხლი ფრანკფურტის ხელ-შეკრულობისა. გობლემ საფრანგეთის საზოგადოება დაამშვიდა ასეთის მოსაზრებით და პალატაში-კი შეიტანა კანონ-პროექტი, რომ მოისპოს საფრანგეთში სრულიად პასპორტები და ვისაც საზღვარ-გარეთ უნდოდეს წასვლა, მუქთად მიეცეს ხოლმე ბილეთიო (აქამდე ასეთი ბილეთი ხუთი-ექვსი მანათი ჰღირდა). ამ სახით გობლე დიდად სახსნად მოიქცა. არც თუ პირდაპირ შეეჯახა ბისმარკს და არც თუ ლაქუცი დაუწყო. მაინც გობლეს პოლიტიკა იმითი განირჩევა ფლურანსის პოლიტიკისაგან, რომ გობლე დამოუკიდებლად მოქმედობს, ბისმარკს ყურადღებას არ აქცევს, არ ეგება ფეხ-ქვეშ და ტკბილს სიტყვებს არ უთვლის. შნებელეს საქმეც რომ კარგად გათავდა საფრანგეთისათვის, ესეც გობლეს წყალობით იყო. ერთის სიტყვით, გობლე პირდაპირ მოქმედობს, თავისი აზრი და საგანი ცხადადა აქვს თვალ-წინ გამოხატული და იმას ემსახურება აქეთ-იქით გადაუხვევლად და სიმტკიცით. არც ვისმე ემუქრება და იწვევს საომრად, მაგრამ არც ვისმე ეპაგრინება. ისპანიასთან მეგობრად არის, ინგლისში სცდილობს თანაგრძნობა აღძრას საფრანგეთის მიმართ, იტალიის შესახებ სცდილობს გაასწოროს ის, რაც გაუმრუდებიათ იმის წინა მოადგილეებსა. და ბისმარკს კი ბალს მაინც არ უგორებს.

რაიცა შეეხება ფლოკეს, იმისი ღირსება, როგორც საზოგადო მოღვაწესი და მთავარ-მინისტრისა, ყველასაგან უკვე აღიარებულია და დამტკიცებული.

## იმპერატორი ვილჰელმ II.

27 იანვარს 1859 წლისას ზარბაზანთა გრიალმა აცნობა ბერლინს პირმშო შვილის დაბადება პრინცის ფრიდრიხისა; მშობიარება პრინცესას მძიმე ჰქონდა და კინაღამ არ ინაცვალა. მაშინვე დეპეშით აცნობეს ეს ამბავი ლონდონში, საიდგანაც დეპეშავე მოუვიდათ. მოსულს დეპეშაზე მხოლოდ ორად-ორი სიტყვა ეწერა: ლამაზი ბიჭუნააო, კითხულობდა ბაბია. პაპა-რეგენტი სამინისტროში იყო და როცა შვილიშვილის დაბადება აცნობეს, მაშინვე ეტლი დაიჭირა და საჩქაროდ წავიდა შვილის სასახლეში. გზაზედ შემოეყარა ფელდმარშალი ვრანგელი.

— აბა, რა ამბავია იქა?— ჰკითხა პრინცმა.

— ყველაფერი კარგად არის; ყმაწვილი ისეთი ჯან-მრთელი და ჯან-საღია, როგორიც ჩვენთვის არის საჭიროვო,— უპასუხა ძველმა მეომარმა.

5 მარტს იმავე წლისას, ნასადილევის პირველს საათზედ, ახლად დაბადებულის ნათლობა იყო გამართული. ყმაწვილს სახელად დაარქვეს ფრიდრიხ-ვილჰელმ-ვიქტორ-ალბერტი. იქ მყოფი ნათლიები იყვნენ—რეგენტი-პაპა და ბებია, პრინცები კარლი, ფრიდრიხ-კარლი მეუღლითურთ, ალბრეხტი, ალექსანდრე, გიორგი და ადალბერტი, ჰერცოგი საქსენ-ვეიმარისა, კობურგ-გოტისა, მეკლენბურგ-სტრელიცისა მეუღლითურთ და გოგენცოლერნ-ზიგმარინგენისა; იქ არა მყოფთა შორის ნათლიებად ჩაეწერნენ: რუსეთის მეფე ალექსანდრე II და იმისი მეუღლე, მეფე და დედოფალი პრუსიისანი, დედოფალი ინგლისისა, უელსის პრინცი და კიდევ თხუთმეტი სხვა გერმანელი პრინცი. ამ ნათლობის გამო გამოცემულს პროკლამაციაზე ერის მიმართ ორის ადამიანის ხელი აწერია—პრინცის მამისა და იმის მეუღლის ვიქტორიასი, შემდეგის სარისხით: „პრინცესა პრუსიისა და სამეფო პრინცესა დიდის ბრიტანიისა და ირლანდიისა“. ამ გვარად ხელის მოწერა პროკლამაციაზე ძვირად დაუჯდა ეხლანდელს ქვრივს იმპერატრიცას. სწორედ ამ დღიდგან გერმანელები პრინცესას „ინგლისელს ქალს“ ეძახდნენ და ხმა გავარდა, რომ პრინცის ფრიდრიხის ცოლს ქმარზე დიდი გავლენა და ზედმოქმედება აქვს და რასაც-კი მოიწადინებს, იმას ჩაადენინებს და იმას აქმნევინებსო.

პირველად ახლად დაბადებული პრინცი აღზარდა ექვსს წლამდე ქალმა დობენეკმა, აწ ქ-ნმა იაკოკმა, რომელსაც ეხლაც-კი გოტაში მოჰყავს ადამიანი თავისის კეთილის გულითა და ქველ-მოქმედებით. 1865 წელს-კი ექვსის წლის პრინცს სამხედრო წოდების აღმზრდელები დაუნიშნა.

პირველში პრინცის სწავლა სახარბიელოდ არ მიდიოდა, რადგან მამა თხოულობდა, რომ სამხედრო ხელოვნება შეასწავლეთ კარგაო, ასე რომ სხვა საგნების შესასწავლელად ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. ამიტომაც, როცა მემკვიდრე პრინცმა 1873 წელს თავისი თოთხმეტის წლის შვილი ბერლინის გიმნაზიაში მიიყვანა, პრინცმა ამ კლასში ვერ დაიჭირა ეგზამენი, რომელ კლასისათვისაც ამზადებდნენ, და ამ გარემოების გამო იძულებული იყო ერთს წელიწადს კიდევ დარჩენილიყო სახლში. ამ ერთის წლის განმავლობაში გამართულ იქმნა დღესასწაულებრივი კონფირმაცია პრინცისა ფრიდრიხსკირხეს ეკკლესიაში, სადაც ამ საოჯახო დღესასწაულზედ გერმანიიდგანა და ინგლისიდგან ათამდე პრინცი შეიკრიბა. პრინცმა ისეთი მშვენიერი ცოდნა გამოიჩინა ლოცვებისა, რომ აღტაცებული იმპერატორი ვილჰელმი საჯაროდ რამდენჯერმე მოეხვია და დაჰკოცნა თავისი შვილიშვილი.

ამის შემდეგ ახალგაზდა პრინცი მისცეს სასწავლებლად კასელის გიმნაზიაში და თან გაადევნეს სამხედრო აღმზრდელი გენერალ-ლეიტენანტი ფონ-გოტბერგი, სამოქალაქო წოდების აღმზრდელი დ-რ გინცპეტერი და რეპეტიტორი ფილოსოფიის დოქტორი გაუსნერი. ამას გარდა თვით სასწავლებელში პრინცის თვალ-ყურის დევნა მიანდეს გარტვიგსა. ზამთრობით პრინცი კასელის სასახლეში სცხოვრობდა, ზაფხულში-კი ვილგელსჰეემში, იმ ადგილას, სადაც ფრანგთა იმპერატორი იყო დატყვევებული. კვირა დღეობით, დილით, პატარა პრინცთან დადიოდნენ ყველა ადგილობ-

---

შესულ ადამიანის ჭკუა-გონება მიიზიდოს და იმისი ყურადღება მიიქციოს. ვერც ერთ სურათს ადამიანისას, ანუ რომელისამე ქვეყნისას, ვერც ერთს წიგნს ვერ ჰპოვებს კაცი ოჯახში, რომ სთქვას, რა აზრისა და ფიქრისა არიან აქა მცხოვრებელნიო. ერთის სიტყვით, ოჯახს არაფრისთანა გარეგანი ადამიანური სახე არა აქვს და მხოლოდ მამა-პაპური ტახტი, ზედაც ხალიჩა თავის მუთაქებით, გვიხატავს ოჯახის როგორც გარეგანს, აგრეთვე შინაგანს სახეს და თვისებას, რომელიც ორის სიტყვით გამოითქმება: გაძეღ და გაგორდი. არც არაფერი მეტი სიკეთე თვითონ სახლის პატრონებს აწერიათ სახეზედ: როგორც გაუთლელს მორგვს არაფრისთანა ჭკუისა და გულის მოძრაობა არ ეტყობა, ისე იმათ პირი-სახეს; უმეტესად ეს, რასაკვირველია, ქალებზედ ითქმება, რომლებსაც... მაგრამ არა ღირს, ჩემო მკითხველო, შენთან ამაზედ ლაპარაკი: ასეთს უნდა დაჰკრა, რომ ხმის ამოღებაც შეეძლოს, თორემ ულონოს, დაჩაგრულს და თითქმის მკვდარს რაღა ცემა უნდა!

გრომად არ უღირს ქართულს ოჯახს თავისის შვილის ნამდვილი, ადამიანური ღირსება, იმისი აზრი, წმინდა გრძნობა და უანგარო სიყვარული; შვილისა არა სწამს-რა, გარდა იმისის ჯამაგირისა, შემოსავლისა და საზოგადოდ ქონებრივ სიმდიდრისა; ამისათვისაც ოჯახისაგან აღზრდილს შვილს თავის სიცოცხლეში ერთად-ერთი მიზანი აქვს თვალში: უდარდელად და უზრუნველად პატივსა და კეთილ ცხოვრებაში ჯიშის გამრავლება. ნაცვლად იმისა, რომ ოჯახმა გულ-მხურვალე და თავ-დადებული მამულიშვილი აღზარდოს, ის მხოლოდ პირად ინტერესების მონას ოჯახისას ჰზრდის, რომელსაც არც ქვეყნიერების ბედის დარდი აქვს, არც თავისის სამშობლო ქვეყნისა. იმის მაგიერად, რომ შვილი ოჯახიდგან სულით, გულით და გრძნობით თავისუფალი გამოვიდეს და თავის საკუთარის თაოსნობით ქვეყნის ცხოვრებაში სასახელო და სასარგებლო მონაწილეობა მიიღოს, ის შედის ცხოვრებაში მხოლოდ როგორც ოჯახის მოსამსახურე, რომლის ბედიც მამა-პაპის ერთს ფეხის დასადგმელს ალაგზედ არის დაკერებული. ამ გვარი ოჯახის გავლენა ყველგან ეტყობა ჩვენს მოზრდილს ახალგაზდობას, როგორც რუსეთში, აგრეთვე სხვა უცხო ქვეყნებში მყოფს. ჩვენი ახალგაზდობა ვერ შესწვდომია იმ მაღალს აზრსა და გრძნობას, რომელიც ყმაწვილობაშივე აქვს შეთვისებული უცხო ერის ახალგაზდობას. აი ერთის მხრით ის მიზეზი, რომლის გამოც ჩვენს ახალგაზდობას ყველგან სამართლიანად დასცინიან, დასცინიან როგორც ჭკუა-გონება გაუხსნელს ხალხს, რომელსაც ვითომ არცა-რა ქვეყნიერების ბედისა გაეგება და არც თავის საკუთარის ქვეყნის დარდზედ ფიქრობს.

ღვთის წინაშე, კაცმა მართალი უნდა სთქვას—ოჯახისაგან დამახინჯებული რომ არ იყოს ქართველი ყმაწვილ-კაცობა, თუ ქალობა, არ არიან ჩვენი ბავშვები, ვიდრე ცხოვრებაში შევლენ, ღვთისა და ბუნებისაგან დავიწყებულნი. აი თორემ დააკვირდით იმათ სწავლას პირველს დაწყებაში და გიმნაზიაში და დარწმუნდებით, რომ იგინი არც ერთს უცხო ერის ყმაწვილებს არ ჩამოუვარდებიან არც ცდილობაში, არც სხვა-და-სხვა სამეცნიერო საგნების შესწავლაში, თუმცა არავისათვის საეჭვო არ არის, რომ ჩვენი ოჯახი არაფერს ღონის-ძიებას არა ხმარობს, თავის ღვიძლს შვილს ვალდებულად ხელი შეუწყოს და აღზარდოს ისე, როგორც დროთა შესაფერი გაჭირება მოითხოვს. სმა-ჭამაში, ჩაცმა-დახურვაში, სახელმძღვანელო თუ სხვა წიგნების შეძენაში, ან თავის დროზედ სასწავლებელ ფულის შეტანაში,—ყოველს ამაში ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა მეტის-მეტად მოკლებულია; წაღა რა არის, წაღა—ფეხ-შიშველა ყმაწვილი სკოლაში ხომ ვერ ივლის—და წაღის გულისათვის ყმაწვილმა ერთი ზღვა ცრემლი უნდა დაღვაროს, რომ იმისმა შეჩვენებულმა მამამ ფეხსაცმელისათვის დროზედ ფული გაიმეტოს. ჯერ დოში, ზურგიელი, ღვინო და გაუმაძღარის მუცლის ავსება კიდევ სხვა საზრდო და მერე, თუ მსუნაგ მუცელს რამე გადაურჩა, ის ყმაწვილის აღზრდას! შე უბედურო და უგუნურო, ვისაც არ გეყურება, რაღა ოხრობად გინდა შენი ქონება და მთელი შენი პირუტყვული ცხოვრება, თუ-კი შვილი ბრიყვი და უცოდინარი გამოგივა; რატომ არ გესმის, რომ აწმყო და მერმისის ცხოვრების კეთილდღეობა შენს შვილზედ არის დამოკიდებული, რატომ ვერ მოგიხერხებია, ვერ გაგიბედნია და ვერ გაგიმეტნია იმის აღზრდას თავს შემოაველო და ანაცვალო რაც-კი რამ ქვეყანაზედ გაბადია! ნუ თუ შვილის წინაშე მხოლოდ ის მოვალეობა გმართებდა, რომ იმის გაჩენაში შენც მონაწილე იყავ!

დედ-მამის ურთიერთობის უგულო დამოკიდებულებაზედ დამყარებული, უაზრო, უსაგნო, უშნო და უხასიათო ოჯახი, რასაკვირველია, ძნელად აღზრდის ისეთს შვილს, რომელსაც არ დაეზაროს და ვალად აჩნდეს თავისი მამულის კეთილდღეობა; აკი მაინც ვერა ზრდის, და ვერც აღზრდის, ვიდრე ჩვენის ოჯახის ცხოვრება მთლად არ გადარჯულდება. აუცილებლად საჭიროა სულ ერთიანად გადავიძროთ, რაც-კი რამ თათრული ან სპარსული ქერქი გადაგვკვრია, და დაწინაურებულის ხალხის ცხოვრების კვალში ჩავდგეთ. მართალია, ამ სურვილის აღსრულებაში მოყვანა ძალიან ძნელია, რადგანაც ჩვენს ოჯახზედ და მთელს ჩვენს ცხოვრებაზედ ბევრი სხვა გარემოებანი მოქმედობენ რაც შევვიძლიან, უნდა ყოველი ღონისძიება მოვიხმაროთ, რომ ჩვენს ოჯახს ადამიანური სახე და შინაგანი ღირსეულობა მიეცეს, თუ არა, თუ ეს სურვილი ყოვლად უიმედოა, დეე დაიქცეს ჩვენი ოჯახი ისე, რომ ქვა ქვაზედაც აღარ დარჩეს. ეგებ მაშინ მაინც მეორედ იშვას, თორემ აწინდელ ოჯახისთანა სამარცხვინო ყოფნას მისი არ ყოფნა სჯობია.

ნ. გ—ლი

რივნი სამოქალაქო წოდების წარჩინებულნი კაცნი და სადამოობით-კი სასახლეში გერმანიის ძველ მწერლების თხზულებებს კითხულობდნენ. დედა და მამა პრინცისა ხშირად დადიოდნენ კასელში შვილთან და შვილის ამხანაგებს ჰპატიჟობდნენ ხოლმე.

1877 წელს პრინცმა სწავლა შეასრულა და მიიღო მოწმობა და ჯილდო კარგად და ბეჯითად სწავლისათვის. პრინცი მეათე მოწაფე იყო, ცხრამ სხვამ იმაზედ უკეთ შეასრულა სწავლა. როცა პრინცი გერმანიიდგან დაბრუნდა, დიდის ამბით დაუხვდნენ ბერლინში—გაუმართეს ბალები, წვეულებანი და ნადიმები. ბრიტანიის ელჩმა ჩააბარა პრინცს ვილჰელმს დედოფლის გამოგზავნილი „ლენკერთხის“ ორდენი. დასასრულ ბერლინის ძველს სასახლეში დიდის ამბით მისცეს ახალგაზდა პრინცს შავის არწივის ორდენივე. ამ ორდენის ტარების ნება აქვსთ ყველა პრინცებს გოგენცოლერნებს, კონფირმაციას გადაიხდიან თუ არა.

ამის შემდეგ დაუწყეს პრინცს სამხედრო ხელოვნების შესწავლა. ყველა გოგენცოლერნები ჩვეულებისამებრ პირველში პოტსდამის ქვეითა გვარდიის ჯარში იწყებენ ხოლმე სამსახურს. მამამ მოიყვანა შვილი ჯარში, დიდი სიტყვა წარმოსთქვა და სთხოვა აფიცრებს, რომ ჩემი შვილიც თქვენს მეგობრად და ამხანაგად იგულეთო. ხოლო პირველშივე პრინცმა არ მოისურვა სხვებთან ერთად თანაბარი შრომა და სამსახური. ერთხელ ერთმა გენერალმა ვერ იცნო პრინცი და გაჰგზავნა სადღაცა რაღაც ბრძანების მისაცემლად. უმაწვილი კაცი რომ მობრუნდა, კვლავ უბრძანა:

— Iunger Herr, წადით ამა-და-ამ რაზმში და...

ხოლო ვილჰელმმა წარბები შეიკრა და გამოუცხადა, რომ მე „პრუსიის პრინცი ვილჰელმი“ გახლავართო. რაღა თქმა უნდა, რომ გენერალმა ბრძანებით ვილოს თავი დაანება.

უნივერსიტეტში პრინცი 1877—1878 წელს სწავლობდა: გერმანიის სახელმწიფო უფლებას, საპოლიტიკო ეკონომიას, კლასიკურ ხელოვნებათა ისტორიას და ისტორიასვე გერმანიის ახალ ლიტერატურისას; 1878—1879 წელს: სისხლის სამართალს, საფინანსო მართლიერებას, ხელოვნებათა და რეფორმაციის ისტორიას; უკანასკნელ 1879 წელს სახელმწიფო და საერო მართლიერებას, ქიმიას და პრუსიის ადმინისტრაციას.

სტუდენტობაში პრინცი ძალიან ხელგაშლითა და გულ-გაშლითა სცხოვრობდა და ხშირად ჰმართავდა ხოლმე წვეულებებსა და დღესასწაულებს. პრინცს ძალიან უყვარდა თავისი ამხანაგი სტუდენტები და ჭეშმარიტს მეგობრობასაც უწევდა, თითქმის დღევანდლამდისაც-კი არავინ დავიწყებია. კელნის გაიცნო უფლებათა დოქტორი გრიბესი, ესლანდელი რედაქტორი „Kölnische Zeitung“-ისა, რომელიც ამას წინად ბისმარკის პოლიტიკას თავ-გამოდებით ეფაფრებოდა და ესარჩლებოდა. ამ გაზეთს გვონებ იმიტომვე სძულს ყოვლადვე რუსული, რომ პრინცი მფარველობს და მხარს უჭერს ყოველისფერში. სტუდენტობაშივე გაიცნო პრინცმა ავსტრიის ტახტის მემკვიდრე, პრინცი რუდოლფი, და პრინცესა შლეზვიგ-გოლშტეინ-აუგსბურგისა, რომელიც ახლა მეუღლედ ჰყავს.

---

# დეპეშა

## 17 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს დადგენილებანი: ა) გავრცელდეს შავს ზღვაზე და დუნაიზე ნაოსნობა. ამ ნაოსნობის საზოგადოებასა აქვს 1.200,000 მანათი თანხა. საზოგადოება ფულს იღებს საქონლისა და ხალხის გადაზიდ-გადმოზიდვაში სხვა-და-სხვა წესით, ზოგან ბევრს, ზოგან ნაკლებს; ბ) დაწესდეს კონტროლი მთავრობის მიერ შემდეგის რკინის გზების შემოსავალ-გასავალისა: დონისა, პრივისლიანისა, ბრომბერგისა, ტირასპოლისა, ორლოვო-ვიტებსკისა, დინაბურგ-ვიტებსკისა, რიაჟსკო-ვიაზემსკისა, ბორშანსკო-სიზრანსკისა, ამიერ-კავკასიისა, სევასტოპოლისა და მოსკოვო-ბრესტისაზე; გ) რა ცვლილება მოხდეს არაყის ხდის წესებში და რა წესით იქმნას ხოლმე შეტანილი სააქციზო გადასახადიო.

**ბერლინი.** რუსეთის ელჩი გრაფი შუვალოვი წავიდა კარლსბადსა.

## 18 ივნისი

**პეტერბურგი.** ხუთშაბათს პეტრე-პავლეს სასახლეში გერმანიის იმპერატორის საგანგებო ელჩის გენერალ პაპეს პატივსაცემლად გამართული იყო საპარადო სადილი.

გაზეთი „Гражданинъ“-ი გვაცნობებს, რომ გენერალს პაპეს უბოძეს ორდენი წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა და წმ. ალექსანდრე ნეველისა; ეს უკანასკნელი ორდენი პაპეს არა ჰქონია.

პეტერბურგის ბირჟა: გირავნობის ფურცლები ტფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებისა იყიდება 98 მ., ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებისა ობლიგაციები-კი—82½ მ.

**ლონდონი.** ლორდების პალატამ შეიწყნარა მმართებლობის წინადადება, რომ მიღებულ იქმნას საჭირო ზომები სახელმწიფოს დაცვისათვისაო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივნისი

| | მყიდველნი მან. | კ. | გამყიდველნი მან. | კ. | გაყიდულნი მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — | „ | — | „ | 8 | 75 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | — | „ | 171 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | „ | — | „ | 1 | 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 273¼ | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 248¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თიბათვე 30 დღით არის.

19 დღე კვირა. წმ. იუდასი, ქრისტეს ძმისა. კათოლ. მიხაილისა. სომეხ. ნახატონაქი. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 23 დღისაა.

20 დღე ორშაბათი. 1-ლი დღე პეტრე-პავლეს მარხვისა. კათოლ. სილვერისა. სომეხ. წმ. დიდ მოწამის ქალწ. რიფსიმესი. ნახატონაქი. მუსულმ. მე-22 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 24 დღისაა.

21 დღე სამშაბათი. ქართველთა მეფეთა წმ. არჩილისა და ლუარსაბისა. კათოლიკ. ავრელიანისა. სომეხ. წმ. დიდ მოწამის გაიანესი. ნახატონაქი. მუსულმ. მე-23 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—29, ჩადის 7—38. მთვარე 25 დღისაა.

22 დღე ოთხშაბათი. წმ. ევსევისა და ზინასი. კათოლ. ეპ. პავლინასი. სომეხ. მარხვაა. ნახატონაქი. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—30, ჩადის 7—37. მთვარე 26 დღისაა.

---

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 „
„ 2 „ 2½ „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2 — 3½ „
„ „ 3 „ 3
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „ „
მროხის ხორცი . . . 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

---

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რავი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

---

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი | სტანციები | მოდის საათი | მოდის წამი | გადის საათი | გადის წამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

უკანასკნელი დღეები!

ქ. ტფილისში.

მიხაილოვის ხიდთან, მირზოევის სახლში (№ 48), რამდენისამე დღის განმავლობაში აჩვენებენ არა-ჩვეულებრივს სანახავს:

ძალიან იშვიათი და მეტად საინტერესო

ინდოელი ქალი

მისს პასტრელი,

თეთრისა და შავის კანისა;

შესანიშნავი ნიმუში ბუნებისა

და გრძნეული და მბრძანებელი გველებისა (Boa Constrictoer-ისა, რომელიც სიგძით ხუთი ადლია, და Phyton Anaconda-სი, ცრომელი სიგრძით შვიდ-ნახევარი ადლია და წონით ორ ფუთ ნახევარი).

ბილეთების ფასი: პირველის რიგისა 40 კაპ., მეორისა—20 კაპ.

დირექტორი მოლე ჰყიდულობს ახალგაზრდა ცოცხალს დათვებს.

ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

თავს მოვლა

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—23)

ქვრივი მართა ბეჟანის ასული დემუროვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ქმრისას, ტფილისის მოქალაქე დავით პავლეს ძის დემუროვისას, და სთხოვს, რათა პატივი სცენ და მობრძანდნენ გასვენებაზედ 19 ივნისს საკუთარის სახლიდგან, მუხრანსკის ხიდზედ, № 13, ანჩისხატის სობოროში და 18 ივნისს საღამოს 7 საათზედ კიდევ პანაშვიდზედ. (2—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტ. მაგიერი ი. რ. ერისთავი. გამომცემელი ილია ჭავჭავა